საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

[illegible] გამოდის [illegible] წლიდან · რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 36 (6582) 16 სექტემბერი ხუთშაბათი 1993 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნუ გვიწყენთ, ბატონებო!

გიამბობთ რაიონულ საკრებულოში 8 სექტემბერს გამართული ერთი „რიგითი" თათბირის შესახებ. მართალია, ასეთი მასალის „გაკეთების" დიდი გამოცდილება არა მაქვს, მაგრამ ვეცდები „თეთრი ყვავის" პოზიციიდან მაქსიმალურად [illegible] გადმოგცეთ ამ თათბირის განწყობილება.

**შთაბეჭდილება პირველი:** რაიონული საკრებულოს ხელმძღვანელობა ცდილობს ფლობდეს რაიონში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას. სათათბიროდ მოწვეული წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები (ძ. თოთაძე, ფ. მუშკუდიანი, გ. ჩარკვიანი, დ. სალიხაძე, კ. კვირკაშვილი, მ. გორგასლიძე, ს. თვარაძე, შ. ყვირილიანი, კ. ალავიძე და სხვანი) მოახსენებენ გამგეობის თავმჯდომარეს მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებში არსებული მდგომარეობის შესახებ. ნათქვამია, ზამთარს ზაფხულიდან ელოდეო. არც არავის გაკვირვებია, როცა გამგეობის თავმჯდომარემ ბატონმა აკაკი პირველმა პირველ რიგში შეშის დამზადების საკითხის გამოჩენა მოითხოვა. სურათი თურმე მძიმეა: საწვავის დეფიციტის გამო შეშა ძალიან ნელა მზადდება: სახელმწიფო სატყეო მეურნეობას 1500-დან მხოლოდ 400 კუბური მეტრი აქვს დამზადებული, ხოლო სამეურნეობათაშორისო სატყეოს 600-დან — 250. პრობლემას თურმე სულ 10—15 ტონა საწვავი გადაჭრის. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა აზრი, შექმნილიყო კომისია რაიონში 1993 წელს შემოტანილი ნახევრის საწვავის ბედის გამოსარკვევად. მოთხოვნა მეტად კატეგორიული იყო და რაიონის ხელისუფალთა წინააღმდეგობა არ გამოუწვევია. ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

თათბირის მონაწილეთა ინფორმაციებში, ცხადია, პრობლემები დომინირებდა, უმთავრესად ძველი, ყველასათვის და თქვენთვისაც კარგად ცნობილი, ამიტომ აღარ გადაგღლით და ძალზე მოკლედ გიამბობთ მათ შესახებ. პროდუქტების შესაძენად (ბაზარში) რაისაავადმყოფოს საჭირო თანხა ბანკმა ნაღდი ფულით უნდა მისცეს, ტრადიციული საწვავი (ნახშირი) წელსაც არ ექნებათ, ამიტომ სახელმწიფო სატყეო მეურნეობამ რაისაავადმყოფოს შეშით უზრუნველყოფისთვისაც უნდა იზრუნოს, პარალიზებულია სასწრაფო დახმარების სამსახური;

სასურსათო კომბინატი მზადაა ხილის მისაღებად, წელს აქ მხოლოდ ჩირს და სპირტს გამოუშვებენ; ჯერჯერობით ერთი კილოგრამი ხილის ფასი 70 კუპონია, გამორიცხული არაა შეთანხმებული ფასების სისტემის ამოქმედება;

„რაიაგრომშენს" ჯერაც არ გაუსტუმრებია მეაბრეშუმეთა ვალი. აგრომრეწვბანკმა სასწრაფოდ უნდა გამონახოს ამისთვის აუცილებელი 7 მილიონი კუპონი;

გახშირდა სატელეფონო ხაზების (სპილენძის შემცველი) ქურდობის შემთხვევები;

არ შეიძლება რაისაავადმყოფოს მშენებლობის ასე ბედის ანაბარად მიტოვება, მშენებლობა ან უნდა აღდგეს, ან დაკონსერვდეს წესისა და რიგის მიხედვით. ყურადღებას ითხოვს ქალაქის წყალსადენის მშენებლობაც, რა თქმა უნდა, მანამ სანამ [illegible] არ დაუტაციათ;

დანაშაულია მშენებარე მეფრინველეობის ფაბრიკის ასე უყურადღებოდ მიტოვება. შიმშილობამდე მისული ჩვენი საზოგადოება არ გვაპატიებს ამას;

სკოლებში ჯერაც შემოუზიდავია სახელმძღვანელოები, ჩანთები და რვეულები, პედაგოგებს საათობით არ უნდა უხდებოდეთ პურის რიგში დგომა; და ა.შ. და ა.შ.

**შთაბეჭდილება მეორე:** მიუხედავად მოწადინებისა, ხელისუფალთა სურვილი ფლობდეს რაიონში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ პროცესებს, სურვილადვე რჩება. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანს. მაგალითად, გაირკვა რომ რაიონის გარეთ ხე-ტყის გატანა სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ნებართვითაც ხდება. თურმე მეურნეობა მეზობელ რაიონებში ცვლის ხე-ტყეს საწვავზე. ყველაზე სამწუხარო ამ ფაქტში ის არის, რომ რაიონის გამგებლებიც ჩვენსავით — გაკვირვებით შეხვდნენ ამ ამბავს (?!) იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა ამჯერად მაინც წაადგება საქმეს და კომისია, რომელიც თათბირის მონაწილეთა მოთხოვნით უნდა შეიქმნას ქულბაქის და ზუბის (ისლარის) სატყეო უბნებში შექმნილი სავალალო მდგომარეობის მიზეზების გასარკვევად, ბევრ რამეს მოფენს ნათელს.

**შთაბეჭდილება მესამე:** ძნელია ოპტიმისტი დარჩე მაშინ, როცა ერთის მხრივ ხედავ, დროული კაცები პირველკლასელებივით რომ იწყებენ ერთმანეთის ბეზღობას და ეს მათთვის გალმა შედავების პოლიტიკური ხერხია მხოლოდ, და მეორე მხრივ, ისმის, დარბაისელი თანამდებობის პირის სიტყვებს: რატომ უნდა „ჩამიშვას" (მაგ. პეტრემ — ი.ხ.) რატომ უნდა მიბრალოთო.

ერთი სიტყვით, შთაბეჭდილებათა სიმწირეს ნამდვილად არ ვგრძნობდი, ზოგჯერ მეგონა, უხეიროდ დადგმულ კომედიას ვუყურებდი მხოლოდ, მაგრამ მთავარი ჯერ წინ იყო თურმე და თუმცა ქარიშხალს არაფერი მოასწავებდა, იგი მაინც ამოვარდა და სწორედ იქიდან, საიდანაც წარმოუდგენელი ჩანდა: საკრებულოს ხელმძღვანელებმა დიდი გამოხატეს თავიანთი აღშფოთება გაზეთ „ლეჩხუმის" ერთი პუბლიკაციის გამო. ლაპარაკია წერილზე „ვნებათა ღელვანი რაიონული საკრებულოს შენობაში", რომელიც საკრებულოში გამართულ ხალხმრავალ შეხვედრას შეეხებოდა. ესაა მკრთალი ანგარიში, რომელშიც აისახა ამ შეხვედრის პათოსი და გამომსვლელთა აზრები რედაქციის კომენტარის გარეშე. ამის მიუხედავად და ჩვენთვის მოულოდნელად ხელისუფალნი გაზეთზე განაწყენდნენ: წერილი ტენდენციურია და ღვარძლითა და ბოღმით არის სავსეო.

ვისაც ის ავადსახსენებელი წერილი წაუკითხავს, ემახსოვრება შეხვედრის ფონზე აღბეჭდილი რაიონის სოციალ-ეკონომიკური სურათი და იმაშიც დამეთანხმება, რომ მისი გადაწყვეტა უფრო მუქ ფერებშიც კი შეიძლებოდა. ოღონდ ეგაა, რომ წერილში მართლაც არის ერთი უმნიშვნელო უზუსტობა, რაც აურზაურის საბაბად ნამდვილად არ გამოდგება. დიახ, რაიონში არ მომხდარა ჯანმრთელობის, განათლებისა და კულტურის სფეროში შტატების

დასასრული მე—2 გვერდზე

ეკონომიკა

## მთავარი მაინც სტაბილურობის მიღწევაა

კარგა ხანია ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის სოციალური პირობები უკიდურესად გაუარესებულია, საოცარი სისწრაფით იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ მატერიალური დახმარება, რაც პრაქტიკულად ვერ ხერხდება. ამის მიზეზი არაერთია, მაგრამ მათგან უმთავრესი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის კრახია. არანაკლები როლი შეასრულა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამაც, რომ მოსახლეობა აღმოჩნდა ეკონომიკური კატასტროფის შედეგების მძიმე წრეში. აქედან გამოხსნა კი კუპონის დევალვაციის და ინფლაციის ზრდის პროცესში მხოლოდ ხელფასების ზრდას არ ძალუძს.

დღეისათვის მოსახლეობის სურსათით მომარაგების ძირითადი წყარო ბაზარია. რაიონის სამომხმარებლო ბაზრის ფასები კი ასეთია: კილოგრამი საქონლის ხორცი 10 ათასი კუპონი ღირს, ამდენივე ღირს ყველიც, მწვანილობის 1500 კუპონად ყიდიან, კილოგრამი ნიგვზისა და თხილის ფასი 7000 და 2500 კუპონამდე აღწევს.

აღარაფერს ვამბობთ კომერციულ ჯიხურებში გასაყიდი საქონლის ფასებზე, რომლებიც უკვე რამდენიმე ათეული ათასი კუპონით განისაზღვრება. ასე, რომ მომხმარებელს საკმაოდ ძვირი უღირს თუნდაც მცირერიცხოვანი ოჯახისათვის აუცილებელი სურსათის შეძენა. ეს მაშინ, როცა მინიმალური ხელფასის ოდენობა (9200 კუპონი) ერთ კილოგრამ ხორცსაც ვერ იყიდის, მით უმეტეს უმუშევრობაც ინფლაციასავით იზრდება.

მიუხედავად სასურსათო პროდუქტების მაღალი ფასებისა, მაინც საკმაო ზღვარია სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასებს შორის.

თუ გლეხი დაინახავს, რომ მისი მოწეული პროდუქტის ფასი გაუტოლდება შეძენილი სამრეწველო პროდუქციისას, მაშინ არც ის აირჩევს მიუწვდომელ ფასებს, ხოლო თუ კომერციულ ჯიხურში სარეცხ ხსნარს 2—3 ათას კუპონად შეიძენს, მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ კილოგრამ ხორცს ათეულ ათას კუპონად გაყიდის. შესასყიდი ფასების გაზრდას ხელს უწყობს ფსევდო საბაზრო ეკონომიკაც სპეკულაციის სახით. რა უშველის ამგვარ ეკონომიკას?

ალბათ ნანატრი ეკონომიკური რეფორმების დროული და მიზნობრივი გატარება, საგანგებო კონტროლი აუცილებელი მოხმარების პროდუქციის განაწილებაზე, შესასყიდი ფასების დარეგულირება, ამისათვის კი უპირველესი ქვეყნის სტაბილურობის მიღწევაა.

## კრიმინალური ქრონიკა

1993 წლის 3 სექტემბერს ღამის საათებში ყაჩაღურად თავს დაესხნენ ცაგერის რაიონის სოფელ ოყურეშში მცხოვრებ ლადო ბიქტორის ძე უგრეხელიძის ოჯახს. დაკავებულია დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი ორი პირი, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

* * *

1993 წლის 6 სექტემბერს რაიპოლიკლინიკის კბილის კაბინეტიდან მოიპარეს კბილის რენტგენის დანადგარი. მიმდინარეობს ძიება.

## საპრივატიზაციო ბარათის მისაღებად

საპრივატიზაციო ბარათის მიღების უფლების მქონე მოქალაქეთა სიის დასადგენად, საჭიროა რაიონში მუდმივად მცხოვრები ყველა მოქალაქე გამოცხადდეს შესაბამის საკრებულოში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, პირადობის დამადასტურებელი საბუთით.

რაიონული საკრებულოს გამგეობა.

# ნუ გვიწყენთ, ბატონებო!

(დასასრული)

შემცირება, მაგრამ მეორის მხრივ, სასაცილოა ამით თავის მართლება, როცა ხედები ამ შემცირების აუცილებლობას. ამ დროს კი ზედმეტ რგოლებს ქმნით. გულზე ხელი დაიდეთ და ბრძანეთ ბატონებო, ცოტანი გვყავს ისეთი თანამშრომლები, უსაქმურობისაგან უკაცრავად პასუხია რომ საქმიანობენ?

დიახ, ბატონი კუკური ხეცურიანი არ გახლავთ წერილში ნახსენები სასურსათო კომისიის თავმჯდომარე, მაგრამ ფაქტიურად კი ხელმძღვანელობდა მას. ამ კომისიის თავმჯდომარე რაიონული საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ვაჟა კოპალიანია. სხვათაშორის, დაკვირვებული მკითხველი ამჯერადაც ადვილად გაავლებს პარალელს დღევანდელსა და კომუნისტურ ხელისუფლებას შორის. გახსოვთ, იმ დროსაც კომისიებმა თუ საზოგადოებებს რაიონის პირველი პირნი თავმჯდომარეობდნენ, ფაქტიური პასუხისმგებლობა მათ საქმიანობაზე კი სხვებს ეკისრებოდა. ეს კია, სასურსათო კომისიები მაშინ არ იყო საჭირო.

რა, თქმა უნდა, ჩვენ კუდს ყავარზე არ გავდებთ და შეცდომებისთვის ბოდიშსაც ვიხდით, მაგრამ მგონია, გალმა შედავების პოლიტიკაში არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ იმ დღეს რაიონული საკრებულოს, უკაცრავად პასუხია და „ორთქლის აბანოდ" ქცეული სხდომათა დარბაზიდან შეუცდომლად ვერაფერს გამოიტანდა კაცი.

ისიც გწყენიათ თურმე, უწესრიგობის ხსენება რად დასჭირდათ გაზეთს. ნუთუ სერიოზულად თვლით, რომ წესრიგი მხოლოდ კრიმინოგენური ვითარების შედარებით მოწესრიგებას გულისხმობს? ნუთუ გჯერათ, რომ თუ ნელ-ნელა იძარცვება და ნადგურდება სახელმწიფო ქონება, მაგრამ მძიმე დანაშაულობანი (მკვლელობა, ყაჩაღობა) არ ხდება, რაიონში წესრიგია? თქვენდა სამწუხაროდ, არც ჩვენ და არც ჩვენი მკითხველი ასე არ ფიქრობს.

დასასრულს, თუ არ გვიწყენთ, ერთსაც გეტყვით, ბატონებო! — პრესის „გასამართლება", თუმც ის ზოგიერთმა ნეობოლშევიკმა პარლამენტარმა დანერგა ჩვენში, ცივილიზებულ საზოგადოებაში კარგი ტონის ნიშნად ვერ ჩაითვლება. უფრო მეტიც, ეს რბილად რომ ვთქვათ, უაზრობაა, მით უფრო, როცა ჩვენს მოქმედებას, მერწმუნეთ, ზნეობითი საფუძველი აქვს მხოლოდ. დიახ, ჩვენ ვეთანხმებით ჩვენი წერილის პათოსს და ვთვლით, რომ ნორმირებული სასურსათო პროდუქტების განაწილების ორგანიზაცია მართლაც არ ექვემდებარება სინდისის ნორმებს, რაც თავის მხრივ უწესრიგობის პროვოცირების მიზეზია. ამის დასტურად ქალაქის პურსაცხობთან არსებული გაუთავებელი რიგები და პურის დატაცების მრავალი შემთხვევაც კმარა. დიახ, ვთვლით, რომ შიმშილობის ზღვარზე მისული საზოგადოებისათვის უმთავრესი პრობლემა სამართლიანი განაწილებაა, რაც სავსებით განხორციელებადია გონივრული ორგანიზების შემთხვევაში, მთავარია გული გულობდეს.

და თუ მძიმეა მონომახის ქუდი, ამისათვის ჩვენ ნუ გაგვინაწყენდებით, ბატონებო!

ია ხმელიძე

## ცხოვრება

### ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ . . .

ბოლომით, დარდითა და ვარამით გულგასიებულებს კლასიკურამდე აყვანილი სულიერი რამ საზრდოც თუ იშვიათად გადაგვქაჩავს. ასე ყოფილა, როცა თავიც და საკუთარი ოჯახიც მშიერი გეგულება.

მაგრამ ვის რა გული გაუძლებდა, როცა ქვედაცაგერელმა ბავშვებმა მეზობლებს ჩამოუარეს და თავიანთი ძალებით გამართულ წარმოდგენა—კონცერტზე გულით მიგვიპატიჟეს..

და იმდენი უწვალიათ ამ ცუგრუმელებს, რომ სიხარულისაგან აგეტირებოდა. სახელდახელო სცენა და პარტერი ორი—სამი საათით სიმღერით, ლექსით, ღიმილით, ყვავილებითა და სიყვარულით დაიტვირთა.

იყო მუსიკა, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, პაექრობდნენ. იმიტაციაც სცადეს, სილამაზის კონკურსიც გამართეს ნანამ და ზურიკომ, მარიკამ და თამთამ, მანანამ და ლევანმა, ფიქრიამ და ლაშამ, ანამ და თამთამ, თამილამ და სოფომ.

ამ კონცერტმა ერთი საღამოს განმავლობაში მაინც დაგვავიწყა პოლიტიკაც, გაჭირვებაც, შიმშილიც. [illegible]

[illegible]

. . .

ამ გაუსაძლის დროს სულის სიმტკიცითა და ამაღლებული განწყობილებით უნდა გავძლოთ. ამაზე უფრო ძნელბედობის ჟამიც ჰქონია ჩვენს წინაპრებს, მაგრამ გადაუტანიათ.

სწორედ ეს განწყობილება იდო საფუძვლად ლეჩხუმის მაღალმთიან და სილამაზით განთქმულ სოფელ ლაილაშში ჩატარებულ საღამო—კონცერტს, რომელიც სოფლის კლუბ-ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთა ინიციატივით მოეწყო.

საღამო — კონცერტში სოფლის ახალგაზრდებთან ერთად სოფელში დასასვენებლად მოსული სტუმრებიც მონაწილეობდნენ.

სოფლის კლუბში მრავალმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მხატვრული კითხვის, სიმღერისა და ცეკვის ოსტატები.

საღამოზე შემოსული 5600 კუპონი ამ სოფლის კლუბ—ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებმა თავდაცვის ფონდში გადარიცხეს.

რ. თვარაძე.

# სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილება

**1993 წლის 5 ოქტომბერს დღის 12 საათზე** ცაგერის რაიონული საკრებულოს გამგეობის სხდომათა დარბაზში აწყობს სახელმწიფო ქონების კონკურსის წესით გაყიდვას.

კონკურსში გასაყიდად წარმოდგენილი იქნება:

ადგილობრივი მნიშვნელობის მცირე სიმძლავრის „ორბელჭესი", რომელიც მდებარეობს ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის ტერიტორიაზე. ექსპლოატაციაში შესულია 1951 წელს, მისი საპროექტო სიმძლავრეა 440 კვტ. წყლის ხარჯი სრულ სიმძლავრეზე ტოლია 5 კუბ. მ წმ, ჰესს უკავია 0,1 ჰა მიწის ფართობი, რომლის გაცემა განხორციელდება მოქმედი კანონის შესაბამისად.

„ორბელჭესს" ერიცხება შემდეგი ძირითადი ფონდები: შენობა, წყალგაყვანილობა, სათავე ნაგებობა, ხის საწყობი, ბეტონის ავზი, ჰიდრავლიკური გვირაბი, დახურული გვირაბი, რკინის მილსადენი, საწნეო ავზი, სამანქანო დარბაზი (ტურბინა 2 ცალი და გენერატორი) დახურული და ღია გამანაწილებელი მოწყობილობა.

შენობათაგან უმთავრესია „ორბელჭესის" შენობა, რომლის ფართობია 400 კვ. მ. აშენებულია სამშენებლო ქვით, დახურულია თუნუქით.

„ორბელჭესის" საწყისი საბალანსო ღირებულება 510122 კუპონი, აღდგენითი ღირებულება 25371768 კუპონი, ფიზიკური ცვეთის ღირებულება 14743529 კუპონი, საწყისი გასაყიდი ფასი ტოლია 13996809 კუპონის.

კონკურსის პირობები:

ობიექტის პროფილის შენარჩუნება;

გარემოს დაცვა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ობიექტის აღდგენითი სამუშაოების ჩატარება;

მომსახურების მაღალი კულტურის დაცვა და მისი სისტემატური გაუმჯობესება.

„ორბელჭესი" გაყიდვის დღიდან ხელშეკრულებით დაკავშირებული იქნება „საქენერგოსთან", ჩართული იქნება ცენტრალურ ელ. ქსელში და მიყიდის ელ. ენერგიას „საქენერგოს", თანახმად ხელშეკრულებისა.

ობიექტის გაყიდვა მოხდება ნაღდი ანგარიშსწორებით, კუპონებით და კომერციულ შემნახველ ბანკში არსებული დანაზოგით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის დღის 12 საათამდე არსებული წესის მიხედვით უნდა წარმოადგინონ განაცხადი სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონულ განყოფილებაში (ქ. ცაგერი, რუსთაველის 46) განაცხადთან ერთად უნდა წარმოდგეს პირველი შესატანის (ბე) და სახელმწიფო მისაგებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

პირველადი შესატანის (ბე) რაოდენობა ობიექტის საწყისი ღირებულების 10 პროცენტია, ხოლო სახელმწიფო მისაგებელი იურიდიული პირებისათვის შეადგენს 5000 კუპონს, კერძო პირებისათვის 1000 კუპონს.

ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: 20—66

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ცაგერის რაიონული განყოფილება.**

# სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილება

1993 წლის 5 ოქტომბერს დღის 14—00 საათზე ცაგერის რაიონული საკრებულოს გამგეობის სხდომათა დარბაზში აწყობს სახელმწიფო ქონების კონკურსის წესით გაყიდვას.

კონკურსში გასაყიდად წარმოდგენილი იქნება:

**ცაგერის № 7 ბენზინით გასამართი ავტომატური სადგური**, რომელიც მდებარეობს ქ. ცაგერის ტერიტორიაზე, ექსპლოატაციაში შევიდა 1966 წელს, უჭირავს 0,05 ჰა მიწის ფართობი. აქვს 4 საწვავის, 2 ზეთის ჩამომსხმელი სვეტი, 5 საწვავის რეზერვუარი 110,8—კუბ. მეტრის ტევადობით საოპერატორო შენობის ფართობია 12 კვ. მეტრი.

საწყისი გასაყიდი ფასია 215 055 კუპონი.

**ცაგერის № 12 ბენზინით გასამართი ავტომატური სადგური**, რომელიც მდებარეობს ს. ალპანის ტერიტორიაზე, ექსპლოატაციაში შევიდა 1968 წელს, უჭირავს 0,04 ჰა მიწის ფართობი, აქვს 2 საწვავის, 1 ზეთის ჩამომსხმელი სვეტი, 50 ლიტრიანი 1 ცალი საზომით, 7 საწვავის რეზერვუარი 39,9 კუბ. მეტრის ტევადობის, საოპერატორო შენობის ფართობია 12 კვ. მეტრი.

საწყისი გასაყიდი ფასია 183258 კუპონი.

**ცაგერის №17 კონტეინერული ტიპის ბენზინით გასამართი ავტომატური სადგური**, რომელიც მდებარეობს ქ. ცაგერში სანაპიროს ქუჩა 11 ექსპლოატაციაში შევიდა 1988 წელს, უჭირავს 0,03 ჰა მიწის ფართობი, აქვს 2 საწვავის სვეტი, 2 საწვავის რეზერვუარი 14 კუბ. მეტრი ტევადობით. საოპერატორო შენობის ფართობია 12 კვ. მეტრი.

საწყისი გასაყიდი ფასია 168589 კუპონი.

კონკურსის პირობები:

ობიექტის პროფილით შენარჩუნება;

გარემოს დაცვა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა, შენობა—ნაგებობების აღდგენითი სამუშაოების ჩატარება;

მომსახურების მაღალი კულტურის დაცვა და მისი სისტემატური გაუმჯობესება.

ობიექტების გაყიდვა მოხდება ნაღდი ანგარიშსწორებით კუპონებით და კომერციულ შემნახველ ბანკში არსებული დანაზოგით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის დღის 12 საათამდე არსებული წესის მიხედვით უნდა წარმოადგინონ განაცხადი სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონულ განყოფილებაში (ქ. ცაგერი რუსთაველის ქ. 46) განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინონ პირველადი შესატანისა (ბე) და სახელმწიფო მისაგებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. პირველადი შესატანის (ბე) რაოდენობა ობიექტის საწყისი ღირებულების 10—პროცენტია, ხოლო სახელმწიფო მისაგებელი იურიდიულ პირთათვის შეადგენს 5000 კუპონს, კერძო პირთათვის 1000 კუპონს.

ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: 20—65

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ცაგერის რაიონული განყოფილება.**

# ნუ გვაიძულებთ!

სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ცაგერის განყოფილება გაუწყებთ, რომ ყველა სახის პენსია, გავშვიანი ოჯახის დახმარება, მოსწავლეთა და სტუდენტთა დახმარება, მარტოხელა დედების, უპატრონო ბავშვებისა და ობლების, სოციალურად ნაკლებადუზრუნველყოფილი ყველა მოქალაქის შემწეობა და დახმარება, დახმარება დაბადებისა და დაკრძალვისათვის და სხვა დახმარებანი ფინანსდება საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან.

დაფინანსების წყაროს წარმოადგენს დარიცხული შრომის ხელფასის გადასახადი 26 პროცენტი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, ხოლო 37 პროცენტი სამეურნეო ორგანიზაციებისათვის პლუს 1 პროცენტი უშუალოდ ხელფასიდან სამედიცინო დაზღვევისათვის. სოცანარიცხებს იხდის საქართველოს რესპუბლიკაში განლაგებული ყველა სახის ორგანიზაცია და საწარმო, ყველა ტიპის საწარმო, კოოპერატივი და კერძო მეწარმე სავალდებულო წესით.

მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა რაიონში განლაგებული ზოგი სახელმწიფო საწარმო, ყველა ტიპის საწარმო —კოოპერატივი და მეწარმე დღესაც არ არიან რეგისტრირებული ფონდის რაიონულ განყოფილებაში. რეგისტრაციას თავს არიდებს 111 კერძო საწარმო და 80 კოოპერატივი. ეს საწარმოები არ არიცხავენ შრომის ხელფასს შეგნებულად და არ ადგენენ ფორმა 4-ს რაიონულ განყოფილებაში, რითაც აშკარად უგულვებელყოფენ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 25 ივლისის დადგენილებით მიღებულ კანონს (საწარმოს საქმიანობის შესახებ). ზემოხსენებული საწარმოებისაგან ყოველთვიურად აკლდება სახელმწიფო ფონდს 5 მილიონი მანეთი (მინიმალური ხელფასის გაანგარიშებით), ყოველივე ეს აკლდება ერს, ხალხს, ოჯახს და თანამემამულეებს.

გთხოვთ პატივი ეცით სახელმწიფოს და კანონს, ამა წლის 25 ოქტომბრამდე გატარდით რეგისტრაციაში ფონდის რაიონულ განყოფილებაში სათანადო ანგარიშის წარდგენით, უკიდურეს შემთხვევაში იძულებული ვართ დავაყენოთ საკითხი ხელისუფლებაში და სამართალდამცავ ორგანოებში თქვენი ფუნქციონირების შესახებ.

**სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ცაგერის რაიონული განყოფილება.**

# ყურადღება!

როგორც ცნობილია, 1993 წლის 10 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განიხილა კანონი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე „მოქალაქეობის განსაზღვრის წესის შესახებ“ და მიიღო შესაბამისი დადგენილება. მოქალაქევალდებულია განაცხადოს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საპასპორტო სამსახურში ყოფილი სსრკ-ის პასპორტით, რათა პასპორტში დაესვას შტამპი „საქართველოს მოქალაქე“ ან „მოქალაქეობის არ მქონე პირი“. გამოუცხადებლობის შემთხვევაში პასპორტი ძალადაკარგულად ითვლება.

შტამპი „საქართველოს მოქალაქე“ დაისმება იმ პირის პასპორტში, რომელსაც აქვს საქართველოს ტერიტორიაზე უწყვეტი ან სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილებში მუდმივი ჩაწერის 5 წლის სტაჟი და 1993 წლის 27 მარტისათვის ჩაწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

შტამპი „მოქალაქეობის არ მქონე პირი“ დაისმება იმ პირის პასპორტში, რომელიც 1993 წლის 28 სექტემბრამდე წერილობით უარს განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობაზე ან რომელსაც 1993 წლის 27 მარტისათვის არ გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე ჩაწერის 5 წლის სტაჟი და არ არის სხვა ქვეყნის მოქალაქე.

მოქალაქენო! მობრძანდით რაიონული პოლიციის საპასპორტო სამსახურში პასპორტში დროებითი შტამპის დასასმელად. გამოუცხადებლობის შემთხვევაში პასპორტი ძალადაკარგულად ჩაითვლება.

**შინაგან საქმეთა ცაგერის პოლიციის საპასპორტო სამსახური.**

# გილოცავთ

**რუსუდან ნემსწვერიძეს, გოგი ხეცურიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.
**ნესტანი, მაია, ფიქრია გურჯალიანები, ნინიკო, მარიკა მეზრელები.**

---

**მაია ფრუიძეს, ლევან კაციტაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შეექმნათ ლამაზი ფუძძლიერი ოჯახი.
**ლაჯანურჰესის სამმართველოს თანამშრომლები.**

---

**შორენა სილაგაძეს, მამუკა ჩხეტიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ მრავალჟამიერ.
**ბორისი, ავთო ჩხეტიანები.**

---

**დოდო გოდერიძეს, თენგიზ ლეთოდიანს**
გილოცავთ ბედნიერებას.
**გურანდა, ვენადი ჩიქაძეები.**

---

**ნატო კვენეტაძეს, გონდო განძელაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.

---

**დათო კვენეტაძეს**
გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას.
**ზაირა, გონდო ყურაშვილები.**

---

**სვეტა კოპალიანს, ამირან ჭაბუკიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძძლიერი ოჯახი.
**კომუნალური მეურნეობის თანამშრომლები.**

---

**რუსუდან ნემსწვერიძეს, გოგი ხეცურიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. გაიხარეთ და გამრავლდით.
**ნათია ბურბუჩიანი.**

---

**ლელა მახარობლიძეს, ომარ ფრუიძეს**
გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ და იმრავლეთ.
**ორბელის საკრებულოს და კულტურის სახლის თანამშრომლები.**

---

**ბიული, ამური, გოგუცა, სიმონ ნემსწვერიძეებს**
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის ბედნიერებას.
**კუჭიკო მახარობლიძე, თამაზ ბექუაშვილი ოჯახებით.**

---

**ნანა ჩიქოვანს, მაყვალა კოპალიანს**
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.
**ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი.**

---

**ხათუნა, ამირან კოპალიანებს**
**ნოდარ, დალი გუგავებს**
გილოცავთ ვაჟიანობას. გაგეზარდოთ ერის სასახელო ვაჟკაცი.
**მელორ დავითულიანი ოჯახით.**

---

**ციცო, დათო მუშკუდიანებს**
გილოცავთ შვილის უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას.
**ოთარ ხეცურიანი ოჯახით.**

---

**მზია სვანიძეს**
გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ულევ სიხარულსა და ბედნიერებას.
**საშენი მასალების საწარმოს თანამშრომლები.**

---

**ბელა სვანიძეს**
გილოცავთ სტუდენტობას. გისურვებთ წარმატებებს.
**საშენი მასალების საწარმოს თანამშრომლები.**

---

**მანანა, ჯემალ ჩიკვაიძეებს**
**ია, ლერი ტვილდიანებს**
გილოცავთ შვილების უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.
**საშენი მასალების საწარმოს თანამშრომლები.**

---

**ლამზირა, ემზარ ლიპარტელიანებს**
ჰიცოლა და ბიძია. გილოცავთ პატარა თამთას შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო, ღმერთი იყოს მისი მფარველი.
**თამუნა, ლაშა ლიპარტელიანები.**

---

**ნელი ახვლედიანს, რამაზ, ვაჟა ყურაშვილებს**
გილოცავთ დაბადების დღეს. იხარეთ მარადჟამს.
**რომან მუშკუდიანი ოჯახით.**

---

**ჯამბულ ყურაშვილის ოჯახს**
გილოცავთ ნინოს ბედნიერებას, სიხარული სუფევდეს თქვენს ოჯახში მუდამ.
**რომან მუშკუდიანი და ბესიკ ეფაძე ოჯახებით.**

---

**ჟუჟუნა, მურად ლიპარტელიანებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
**კარლო ჩაკვეტაძე, ოლია კვირკაშვილი, დავით ყურაშვილი, დათო სალინაძე, ქენია ხეცურიანი ოჯახებით.**

---

**მურადი მიქაძეს**
გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
**კომუნალური მეურნეობის თანამშრომლები.**

---

**ლენა დავითულიანს, დოდიკა ელიანოვს**
გილოცავთ შვილების უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვას.
**ლაილაშის საშუალო სკოლის კოლექტივი.**

---

**ნათელა, გია, ციცო, გურამ გვიშიანებს**
**დარეჯან, მურმან გურჯალიანებს**
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.
**ვლადიმერ გვიშიანი ოჯახით.**

---

**ნატო გოგოძეს, მამუკა ელიანოვს**
გილოცავთ ვაჟის შეძენას.
**ლაილაშის საშუალო სკოლის კოლექტივი.**

---

**ნუნუ ჩაკვეტაძეს, ციცო ნემსწვერიძეს, ლედი გურჯალიანს, ნელი წურწუმიას**
გილოცავთ ნათიას, კახას, ნანას, ლადოს უმაღლეს სასწავლებლებში მოწყობას.
**ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი.**

---

**ლელა, ჯონი გურჯალიანებს**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
**ორბელის საკრებულოს და კულტურის სახლის თანამშრომლები.**

---

**სამსონ გვიშიანის ოჯახს**
გილოცავთ რუსუდანისა და გოგის ბედნიერებას.
**ლაშა გურჯალიანი ოჯახით.**

---

**ნანა, შუქური გვიშიანებს**
გილოცავთ ვაჟიანობას, დაგბედებოდეთ სიმრავლე.
**ლაშა გურჯალიანი ოჯახით.**

---

**ნათელა, გია გვიშიანებს**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. იმრავლეთ, იბედნიერეთ.
**ლაშა გურჯალიანი ოჯახით.**

---

**აზა, რეზო გოგოხიძეებს**
გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას.
**რეზო ჩხეტიანი ოჯახით.**

---

**მაყვალა, ვენადი კოპალიანებს**
გილოცავთ სოფიკოს ინსტიტუტში მოწყობას.
**რეზო ჩხეტიანი ოჯახით.**

---

**პაშა მასწავლებელო!**
გილოცავთ თამუნას ბედნიერებას.
**მერაბი ჩხეტიანი, ლევან ცხვედიანი.**

---

**მიმოზა სვანიძეს, ბორის ბენდელიანს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გისურვებთ ულევ სიხარულს.
**თამაზ, რეზო ტვილდიანები, ქორა მეშველიანი, ზურაბ, გუჯუ, ლენა სვანიძეები, გია ლიპარტელიანი, სოსო, ვახტანგ, სპარტაკ, მიშა, ზაურ კვირკაშვილები.**

## ხსოვნა

# ჯაბუ ისაქორეს ძე ფველდიანი



შვიდი თვე შესრულდა მძიმედ მოსაგონარი ორი თებერვლის ღამიდან. შვიდი თვე შესრულდა, არ შემოგ-ილია შენი სახლის კარი, არ მოსიყვარულებიხარ შენს შვილიშვილებს, ასე ძალიან რომ გიყვარდა.

რა დაგვავიწყებს იმ ავბე-დით ღამეს. უცაბედად რომ გამოგვეცალე ხელიდან. ნეტავი თუ არ გესმოდა, რა დღეში იყო შენი ოჯახი, შენი ოთხივე შვილიშვილი, მკვდარს რომ ვეღარ გაცი-ლებდნენ და უნდოდათ ეშ-ველათ შენთვის—იქნებ გე-სმოდა კიდეც.

ვერ გიშველეთ, ვერ გად-აგარჩინეთ, ვეღარ გაგიძლო ერთხელ გაგზარულმა გულმა.

შენმა ოჯახმა, ნათესავე-ბმა' ახლო მეგობრებმა უშ-ენოდ აღვნიშნეთ 14 ივლი-სი—შენი დაბადების დღე. ოხვრა—ვოდებით გაყავს დღეები შენს გამწარებულ მეუღლეს, ჯერაც რომ ვერ ირწმუნა შენი ამქვეყნად არარსებობა.

შვიდი ივვეა უმოძრაოდ დგას შენი მანქანა, თითქოს გელის, მაგრამ ამაოდ.

ძნელი წარმოსადგენია ჩვენთვის შენთან განშორ-ება. შენი სითბო, სიკეთე' სიყვარული ყველას რომ უნაწილებდი. ძალიან დაგვ-აკლდი და ამას ყველა ძალიან განიცდის, შენს ჭირის დღესაც დაეტყო, ყველა მოვიდა, ვისაც გავ-აგებინეთ შენი გარდაცვალ-ების ამბავი. ჭირის დღეს' რომელიც საბოლოოდ სვან-ეგმა დაგიმშვენეს, სვანური ზარით.

გვიჭირს შეგუება იმ მწარე სინამდვილესთან, რომ ვეღარასოდეს გნახავთ, ჩვე-ნო საყვარელო ადამიანო, ხშირად მოვალთ შენს სამა-რადისო სამყოფელთან, რომ უშენობა ამით მაინც შევ-ივსოთ. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ლამაზი სული, მსუბუქი იყოს შენთვის ქა-რთული მიწა.

ოჯახი.

# ზვიად გიორგის ძე გეგავა



მამულის უსაზღვრო სიყვ-არულმა და ვაჟკაცურმა სულმა წაგიყვანა საბრძოლ-ველად ცხინვალში. გადამ-თიელის ტყვიას გადარჩე-ნილი შენივე ხელით შემთხ-ვევით გასროლილმა ტყვიამ გიმსხვერპლა,—ზვიად ხანმო-კლე სიცოცხლის მანძილზე ყოველთვის იდექი იქ, სად-აც სამშობლოს უჭირდა. თბილისში დატრიალებული მოვლენების დროს ებრძოდი უსამართლობას, ძალიან განიცდიდი საქართველოს ბედს. ჩვენ გვწამს, ცოცხალი რომ ყოფილიყავ აფხაზეთ-შიც ბრძოლის წინა ხაზზე იქნებოდი. მსუბუქი იყოს შენთვის ის მშობლიური მიწა რომელმაც სამუდამოდ ჩაგიკრა გულში.

თავზარდამცემი იყო ჩვე-ნთვის 1992 წლის 12 ივლი-სის ღამე. მწარე ტკივილით აღსავსე ბრმა შემთხვევა მუდამ სევდად დარჩება ჩვენს გულებში. მხოლოდ 24 გაზ-აფხულს მოესწარ, ყველგან და ყველაფერში გამორჩეუ-ლო. სწავლა გწყუროდა' ჩაერიცხე კიდეც, მაგრამ პირველ სექტემბერს ინსტი-ტუტის კარის შეღებას ვეღ-არ მოესწარ. რა ვუთხრათ ზვიად, შენს დედას' მის და-ნახვაზე გული გვეკუმშება' სიტყვა ვერ გვიპოვნია მის-თვის სათქმელი. შენი თან-ასოფლელი ახალგაზრდები არ გივიწყებენ' თავს დასტ-რიალებენ შენს უიმედოდ დარჩენილ დედას. შარშან დაბადების დღე გადაგიხადეს და შემოგფიცეს, რომ ტრა-დიციულ დღესასწაულად ვიქნებით იგი. იქნებ შენ თვითონ ვერ გრძნობდი, ზვიად რა მამაცი. ლირსეუ-ლი ადამიანი იყავ, ამიტომ მოგვაყენა შენმა სიკვდილმა მოუშუშებელი ჭრილობა.

გჯეროდეს ჩვენო საყვარ-ელო და ერთადერთო—სანამ ცოცხლები ვიქნებით შენც ჩვენს გვერდით ცოცხლად გიგულვებთ. 28 სექტემბერი შენი დაბადების დღეა—გილოცავთ, ზვიად!

ნათლული ვანო ტარიელის ძე მახარობლიძე.

---

შვილები ნათელა' გურამი, და პასიკო' რძალი ნათელა, შვილიშვილები ავთო' ნარ-გიზა' ვახტანგ, რეზო, გელა, ვოგი, მაქვალა' ელდარი ლია' ნათია, გაგა, მიხო, შვილთაშვილები' სიძეები, ბიძაშვილები' მამიდაშვილ-ები' დისშვილები, დეიდაშ-ვილები' მაზლიშვილები ძმა შურმანი' დები ლამარა, მირანდა' რძლები ნუნუ, თინა' დარეჯანი, სიძეები გივი ხაბულიანი, შუქური ხეცურიანი, ძმისშვ-ილები' დისშვილები, მამ-იდაშვილები' დეიდაშვილე-ბი' ბებია ჟენია, მამიდები ნადია' ეთერი, ბიძა გალაქ-ტიონი იუწყებიან' რომ გარდაიცვალა

**ზინა კოსტას ასული მურცხვალაძე**

დაკრძალვა 18 სექტემბერს' შაბათს' სოფ. ჩხუტელში.

---

**ნადია ნიკოლოზის ასული სალინაძე —ლიპარტელიანის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 სექტემბერს' შაბათს ქ. ცაგერში.

---

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს თინა დოლბაიას და ნინო კვირკაშვილს დისა და დეი-დის

**თამარ დოლბაიას**

გარდაცვალების გამო.

---

ლვირიშის საექიმო უბნის და საფერშლო პუნქტის თანამ-შრომლები თანაუგრძნობენ თინიკო ნემსწვერიძეს დედის

**გოგუცას**

გარდაცვალების გამო.

---

ეთერ მუშკუდიანი ოჯახით თანაუგრძნობს ოლეგ გიო-რგობიანს ბიძის

**დადაში გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო.

---

როზინდონ კვირკაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ფაფალა' რუბენ კვირკაშვი-ლებს შვილიშვილის

**სერგო ქლენტის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ლეილა ასანიძეს შვილის

**კახა ფუტკარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ ჩიქოვანი ოჯახით იუწყება' რომ გარდაიცვალა

**ლოლა ვალიას ასული ქომეთიანი.**

---

სანეპიდსადგურის თანამშრ-ომლები თანაუგრძნობე-ნუნუ' შურმან მურცხვალაძ-ეებს

**ზინას**

გარდაცვალების გამო.

---

ვალხაზ' ზურაბ, გურამ ლი-პარტელიანები' ჯეირან ახ-ვლედიანი ოჯახებით იუწყ-ებიან

**ნადიას**

გარდაცვალებას.

---

მეგობრები ავთანდილ' ანზორ, იური' ბიძინა, ჯიგო ახვლედიანები' გურამ, ანზ-ორ' ზურაბ ტვილდიანები იუწყებიან' რომ გარდაიცვა-ლა

**ოთარ სიმონის ძე ნემსწვერიძე**

---

ლვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს მზია გიორგ-ობიანს ბიძის

**დადაში გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გრიშა იაკობის ძე ახვლედ-იანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ოთარ ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს თალიკო გურეშიძეს მეუღლის

**დადაში გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო.

---

თანაკლასელები ნუცა ცვა-რიანი' ნათელა სალინაძე, ლედი გოგიძე' ცისმარა მინ-დიაშვილი' იზო გოგოხიძე, ნუნუ მანდარია' მელსი ყუ-რაშვილი' მურთაზ ბერიძე, ჯამლეთ ნემსაძე' გრიშა ხაბულიანი თანაუგრძნობენ გურამ ლიპარტელიანს დედის

**ნადიას**

გარდაცვალების გამო.

---

ლენა' ამალია, მერაბ სალი-ნაძეები თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**დადაში გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლესნა სილაგაძე' ზაურ, ჯუმბერ სალინაძეები' სევა-რიონ, შოთა' შოთა კოპალ-იანები, იური ბრეგვაძე' ანზორ ტვილდიანი' დემურ, კარლო ჩაკვეტაძეები' სოზარ, თამაზ გენდელიანები, მურთაზ ჩარ-კვიანი, ბორის' დათო ხეც-ურიანები' ნუშარ ხვადაგია-ნი, მიშა ფოჩხიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ვერიჩკა ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ბელა' კაკო ხაბულიანები, კაკო ხემსწვერიძე' ნათელა კოვალიანი ოჯახებით თან-აუგრძნობენ ნარიმან' გურამ ქომეთიანებს ოჯახს მეუღ-ლისა და დედის

**ლოლა ქომეთიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ომარ ჭაბუკიანი' რუზენ გოგიძე' შოთა ახვლედიანი, ძაძუ ახვლედიანი' ლამარა ვერიძე' ქეთინო ლიპარტე-ლიანი' მანანა კუხალაშვი-ლი' ლია მუშკუდიანი თან-აუგრძნობენ ბივი ბენდელი-ანის ოჯახს

**ვერა ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის ლვირი-შის განყოფილების თანამშ-რომლები თანაუგრძნობენ კუკური ნემსწვერიძეს ძმის

**ოთარის**

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ ლიპარტელიანი, ამი-რან სადილიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ნადიას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ვოლიკე, შვილი შოთა, რძლები [illegible] ერი, ნაილი [illegible] გიორგი [illegible] სილაგაძე' ანტონ [illegible], ძმისშვილები ციალა, ლანგ-უშა' იგრანი, შვილიშვილები ელისო, კობა' ნონა. შვილ-თაშვილი ხათუნა, ძმისშვი-ლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შალვა მიხეილის ძე მოწონელიძე**

დაკრძალვა 18 სექტემბერს, შაბათს' სოფ. ლაილაშში.

---

შვილები გაური, ნანა' ანზ-ორ' შამილ, ჟინვერი, რძლები ნიურა, მედიკო' ნათელა, სიძე რეზო გელოვანი, შვი-ლიშვილები სოსო, მზია' ნინო' ია, ვიქტორი, გოჩა, ლალი' ხვიჩა, შორენა, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მარო ანდრიას ასული მეგრელი —აბაშიძე**

---

ლალი, ზაქრო ნემსწვერიძე-ები თანაუგრძნობენ ციცო რეზო ქომეთიანებს დედის

**ლოლა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ' გულვერ, რომან ჯიბილო' ჯიმშერ გიორგო-ბიანები' მერი, გუხუტი ხეც-ურიანები ოჯახებით თანა-უგრძნობენ თალიკო' ირინა, სოსო' ოლეგ, მზია გიორგ-ობიანებს

**დადაში გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო.

---

№ 23 საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძ-ნობენ ოლეგ გიორგობიანს ბიძის

**დადაში გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის მტპ საწარმოს თა-ნამშრომლები თანაუგრძნო-ბენ მერაბ სილაგაძეს სიმამ-რის

**აკაკი ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

იგრან, მალხაზ მოწონელიძ-ეები' შორა სილაგაძე, გურამ პოქაძე ოჯახებით, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შალვა მიხეილის ძე მოწონელიძე**

---

საშენი მასალების საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძ-ნობენ ცისანა გვიდიანს დე-იდაშვილის

**ვალერი კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის კინოფიკაციის თა-ნამშრომლები თანაუგრძნო-ბენ ბორის ხეცურიანს მამი-დის

**ვერა ხეცურიანის**

თამაზ თაგვაძეს ბების

**ნიფო თაგვაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ალიოშა ბრეგვაძე, პიმენ მურცხვალაძე, ამირან მოწ-ონელიძე ოჯახებით თანაუ-გრძნობენ ჭირისუფალს

**ლია ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი კრების პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56, ტელეფონი 22-31.

შეკვეთა № 36 ტირაჟი 1856

ცაგერის რაიონული სტამბა